


ს ა მ ს



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიბერატურო ნახატებიანი გაზეთი გაგოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 18

მ ა ი ს ი 2 1899 წ.

№ 18

შინაარსი: შეთანა თაობ ნ. ურდანიასი.—სხვა-და-სხვა ამბები.—„გვლის“ კორესპონდენციები.—ვირიდან ვვირამდე.—კელიანს გზაზე, ლექსი კ. გოგოლაძისა.—მცირე შენიშვნა ნ. ა.—ლისა—წერილი რედაქციის მიმართ გ. გელეშელისა.—ორი გვირის საუბარი დ.—ისა.—ქეთახი 1898 წ. (შემდეგი) ი. კაკაბაძისა.—ღია წერილი თ. გრ. დიასამიძესთან დ. კამკამიძისა და განცხადება.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც წინეთ რედაქცია იმყოფებოდა.

შეთანა თაობა.


III.

მეორე წერილში ჩვენ დაეინახეთ, რომ ბ. მაიაშვილმა ჩვენ ცხოვრებაში აღმოაჩინა ის წოდებები, რომელნიც საუკუნოებით არსებობენ და რომელთაც ყველა ხედავს, სახელდობრ: გლენჯაკობა და თავდაზნაურობა. სამაგიეროთ მან ვერ შეამჩნია ის, რაც წინეთ არ არსებობდა და მხოლოთ ახლა იწყებს აღორძინებას და გაძლიერებას, სახელდობრ: ამ ორი წოდების დაშლა, დარღვევა და ერთმანერთში არევით ახალი კლასების შედგენა. და აი ეს ახალი კლასების განვითარება გამოპარვია ჩვენ აეტორს ე. ი. გამოპარვია მთელი ჩვენი ახალი მოძრაობა. ის, წოდებრივი პრინციპით შეიარაღებული, პირველათ გლენჯათა მოსარჩლეთ გამოდის, ხოლო რამდენსამე წელს შემდეგ, თავდაზნაურობას ურჩევს: იხსენ თავი შენი გლენჯათა შემოსევისაგანო. და ასე მან დატოვა „გლენჯური“ შეხედულობა და შეითვისა ფეოდალური.

მარა ეს კიდევ არ შეიცავს ბ. მაიაშვილის სრულ

დახასიათებას. ეს არის მხოლოთ მისი მოძღვრების ერთი მხარე. ის არ არის ისეთი მოღვაწე, რომელსაც დამთავრებული, დაოთხკუთხებული სისტემა არ ჰქონდეს, თუმცა ამ სისტემის შენობაში ბევრი მინგრეულ მონგრეულობა და უსწორ-მასწორობაა. აი ახლა ამ სისტემის მეორე ნაწილიც გავიცნოთ. ეს ნაწილი პირდაპირ შეკავშირებულია პირველთან და მისკან ლოლიკურათ მომდინარეობს. და მართლაც, თუ კი ამ ახალ პირობებში ისევ ძველი წოდებებია ჩაყენებული და ახალ ნიადაგზე ბრძოლა მხოლოთ მათ შორის არის ატეხილი, ცხადია მათ ამ ახალი მდგომარეობის გაგება არ შეუძლიათ, თავის საქმის წაყვანა არ ძალუძთ და ვინმე მშველელი ესაჭიროებათ. ისინი, როგორც ძველი იდეებით და ტრადიციებით გაქვინთილი, თხოულობენ ახალ ხალხს, ახალი ცხოვრების მცოდნეს და მათი წინამძღვრობისათვის გამზადებულს. ვინ არიან ეს წინამძღვრონი? ეს არიან ინტელიგენტებიო—გვეუბნება ბ. მაიაშვილი.

ამ ნაირათ, ერთი მხრით დგას ბრიყვი, უფიცი ხალხი ორ დიდ წოდებათ დაყოფილი, მეორე მხრით კი ნასწავლი და გაგებული ინტელიგენცია. რა და-



მოკიდებულებაა მათ შორის? ეს დამოკიდებულება ყოველთვის ერთი და იგივე არ არის, ის იცვლება იმდენათ, რამდენათაც იცვლება ბ. მაიაშვილის წოდებრივი მიმართულება. მაშინ როცა ის „გლენხურ“ მიმართულებას ადგა, ინტელიგენციაც გლენობასთან უნდა ყოფილიყო დაახლოებული და ხალხში მოედებნა თავისი იდეალი და ლტოლივლება. მარა, როცა მან უმცირესობისაკენ გადახარა სასწორო, მაშინ, რასაკვირვლია, ინტელიგენციაც უნდა დაშორებოდა უმრავლესობას და სხვაგან მოედებნა ბინა. პირველ შემთხვევაში მომქმედ და მოძრავ ღერძათ ხალხია აღსარებული, ხოლო ინტელიგენცია მას უნდა მიჰყვეს და მისი მიზანი თავის მიზნათ გაიხადოს. აი რას წერდა ამის შესახებ ბ. მაიაშვილი 1882 წ.

„ხალხი თუმა ან ანდგენს თეორიულად ვრცელს პრაქტიკებს, სადაც შემდგენლთ ანაფექტი ან ავიწყდებათ, გარდა თვითონ ხალხისა, მაგრამ მაინც უაყვლთვის იკვლევს მარტივს და ანა რთულს საფუძველთ საზოგადოების მოსაწყობათ. ხალხი, როგორც გამოცდილი ჭკუის მატრონი, რომლის გონება სწავლასტიკურის სწავლით ან ანის დამსინჯებული, მსჯელობის დროს იწყებს მარტივიდამ და გადადის რთულზე, კერძოდამ გადადის ზოგადზე. თავის მსჯელობის საფუძველთ შიგნულად იგი ებუღებას ცოცხალს შიხს, კაცსა, მეტე რამდენიმე შიხთ კომბინაციას რჯასობაში, მეურსებაში და კომფობაში. რჯასობა და კომფობა ერთათ შეადგენენ ერთს საზოგადოებას, თემობას, რომელიც როცა სხვა თავის მაგვანს საზოგადოებას შეუერთდება, შეადგენს ერთს დიდს საზოგადოებრივ სსუულს. ამაზე შოჩს ხალხის გონება ალან მიდის და უთმობს ბუჩოს და მოედანს ბუჯადთ, ჭკვიან ხალხთ, რომელნიც შეიარაღებული ანაინ მენიერებით და ისტორიულის გამოცდილებით. ხალხი მსოფლიად გვიჩვენებს გზას, გვამდგენს სელში საფუძველს, გვიჩვენებს მეთოდებს, რომ გამოვიკვლიოთ იმისთანა გარკვეანი ფორმები, რომელნიც შეეფერებათ ხალხის ცხოვრებას. როგორც სედათ ხალხის მეთადი სხვა და განუთარებულის გაცებისა სხვა. ეს უგანასკნელნი იწყობენ საქმეს ზოგადობიდან, გარკვეობიდან და ცდილობენ გადავიდენ კერძობაზე, მაგრამ თავის დღეში კი სურვილი ვერ უსრულდებათ. საზოგადოების მოწინავე ბუჯადნი შემდეგ უზო-უყველოთ სიარულისა და მიხვევ-მოხვევისა მისუჯან იმ დასკვნამდის, რომ შესწავლა და განუთარება ხალხის ცნობიერების მიერ გამოკვლეულ გონიერულ საფუძველთა საზოგადოებრივის ცნობრების მოსაწყობათ, — ანის ნამდვილი წყარო საზოგადოებრივი საგნების ასახსნელათ. მათი ვაჯია მსოფლით გამოიკვლიონ და შექმნან (!) ის შიხობანი, რომელნიც ხელს უწყობენ ხალხის იდეალს, კონომიურის, საზოგადოებრივის და პოლიტიკურის მსრით“. („იკვრია“ № 8, 162—163 გვ.).

კერძოთ ჩვენ ლიტერატურაზე წერს:

„შეგუწყოთ და შეგუთანსმით ჩვენი ნაწერების სასათი და მიმართულება ხალხის ინტერესებს და მოსოგნიდებობას, ვისწავლოთ და განვითარდეთ ხალხთან ერთათ, მასთან ერთათ შევიმუშავოთ საზოგადო იდელები, რომელნიც მსოფლით ხალხის მიერ მიიღებენ უადრეს ძაღას და შეიძლებენ უაყველგანი ბომფლის და დეკნის ატანას“.

„ლიტერატურა უნდა შეიქმნეს უბირველეს ყოვლისა სახალხო ლიტერატურათ, უკეთუ გავსრფს, რომ მას ჭქონდეს გავლენა და ძლიერება, ფასი და მნიშვნელობა ჩვენის ქვეყნის საქმების გადაწყვეტის დროს. მსოფლით ეს მაშინ მოსდება, როცა ლიტერატურა ერთათ ერთ ნამდვილ გზას და ჭეშმარიტ მიმართულებას ადგება. როცა იგი მიიღებს პატივდებში ხალხის სურვილს და, რაც უფრო შიგნულად, დაიცავს მის ინტერესებს ე. ი. როცა ლიტერატურის მიერ სშირათ და უმთარკესათ წამოყენებული იქმნება სახსმარებოთ ხალხის გულის მომგები საგნები, კონომიური და საზოგადოებრივი საქმები“. („იკვ.“ № 9. გვ 124 კუჩსივი უაყველგან ჩვენია).

აქედან აშკარაა, რომ ხალხის ინტერესი, ხალხის იდეალი არის იმავე დროს ინტერესი და იდეალი „ჭკვიან-კაცთა“, ინტელიგენტთა. ინტელიგენცია არას თხზავს, არ იგონებს და მერე ამ გამოგონებულს ხალხს თავზე ძალათ არ ახვევს. ის, ასე გაშინჯეთ, სწავლითაც კი ხალხთან ერთათ სწავლობს. და რადგანაც ხალხის მიერ გამოკვლეული საფუძველი „საზოგადოების მოსაწყობათ არის ნამდვილი წყარო საზოგადოებრივი საგნების ასახსნელათ“, ცხადია ლიტერატურაც ამ გამოკვლევის ორგანოთ უნდა შეიქმნეს ე. ი. ვახდეს „სახალხო ლიტერატურათ“; ეს იქმნება ნამდვილი გზა და ჭეშმარიტი მიმართულება“.

ასე ფიქრობდა ბ. მაიაშვილი მაშინ, როცა ხალხი საზოგადო ასპარეზზე არ იყო გამოსული და საზოგადო საქმეშიაც მონაწილეობა არ მიელო. მაშინ, რასაკვირვლია, არაეისთვის არ იყო საშიში, დეძახა: ხალხო, წინ წამოდექითო! მარა შემდეგ განვილო რამდენიმე ხანმა და ხალხი თან-და თან განვითარდა, თავის საშოდან წარმოშეა ახალი ელემენტები, მოწინავე ჯგუფები და აი ამათ საზოგადო საქმეებშიაც თავი იჩინეს. ხალხი ნელ-ნელა „გაჭკვიანდა“, „განტელიგენტდა“ და თავისა ჩქარი ნაბიჯით ინტელიგენციას წინ გაასწრო. საქირო იყო ამ ახალი მოვლენის აღნიშვნა და მისი ხელის შეწყობა. როგორ შეხედა ამას ბ. მაიაშვილმა? მან სწორეთ ისე, როგორც გლენობის გაძლიერება და ფეოდალების ჩამოქვეითება დიდ „მუქარათ“ დასახა ჩვენი მერმისისათვის, ასევე, ამ ხალხს წინ წამოყენება და ინტელიგენციის უკან დაწევა დიდ უბედურობათ გამო-

იტანა. ახლა ის დატირის იმას, რასაც წინეთ ნატ-
რობდა, უარს ჰყოფს იმას, რასაც წინეთ ამტკიცებ-
და. ის თავის წერილებში „ძველი და ახალი თაობა“
(„ივ.“ 1889 წ.) მოთქვამს ინტელიგენციის დამცი-
რებაზე და ამის მიზეზს ჰპოებს ორ გარემოებაში:
რუსეთის ინტელიგენციისაგან დაშორებაში და ჩვენი
მწერლობის სახალხო მწერლობათ გადაქცევაში. თუ
პირველი ნაკლულეფანებაა — მაშ რატომ უსაყვედუ-
რებდა იგივე ავტორი ჩვენ მწერლებს 1882 წ., რომ
ისინი „განურჩევლათ მისდევნენ უკან კულში სხვათა
ლიტერატურებს და ამ უგვანი ბაძვით სწორეთ, რომ
ყოველ საზღვარს გადადიან თავიანთ სასაცილოთ და
სასირცხოთ“ („ივ.“ № 9 გვ. 123). თუ თავის ფეხით
სიარულია საჭირო, სხვებისგან დაშორებაც საჭირო
უნდა იყოს. რაც შეეხება მეორე მიზეზს, აი როგორ
ხსნის ამას: „მამები“ შეუდგენ ყოველ დღიურ კით-
ხვების გარკვევას და ხელიდან გაუშვეს პრინციპი,
საკაცობრიო იდეალი.

ამის გამო „საზოგადოებრივი მოძრაობა, მატალაია,
უფრო გაფაჩდოვდა, უფრო ღრმად ჩაიყოლია ხალხი,
ჩააბა სსვა-და-სსვა ელემენტები საზოგადოებისა, ძგკამ ლი-
რსებით კი იგი მოძრაობა, ეჭვი აჩ აჩის, უფრო დამ-
ცირდა... გაჩნდა საკმაოდ დიდი აუდიტორია, რომე-
ლაც თვალებგაფიციტებით უგდებდა ყურს თავის მეთაურე-
ბის ქადაგებს, ძგკამ რაკი აუდიტორია საესე იყო ყვე-
ლა ჯურის ხალხით, იღვით მოსილი მხარე სალიტერატ-
ურა მოძღვრება ქადაგებისა მიილია, მისუსტდა, და
ის მთავარი ადგილი, რომელიც შიგველში ეჭირა დაუ-
თმო უფრო გასაკებ, მღაბიო საღაპარაკო-სავარჯიშოს“.
(238.)

როგორც ხედავთ, ბ. მათაშვილი 1882 წ. თხო-
ულობდა ხალხის გამოყენას საზოგადო ასპარეზზე,
„აუდიტორიის“ გაფართოებას, ხოლო 1889 წ. ეს
ნაკლულეფანებათ იქმნა ჩათვლილი. ხალხს აუდიტორ-
იიდან იღვის კაცები გამოდგენა და თვითონ გამაგრ-
და. რაკი მკითხველთა წრე გაიფსო „ყველა ჯურის
ხალხით“, ამიტომ თურმე „იღვით მოსილი მხარე სა-
ლიტერატურა მოძღვრება ქადაგებისა მიილია“, ანუ
მღაბიურათ რომ ვთქვათ, „ხალხმა“ უარჰყო „იღე-
ია“, ეს ჩემი საქმე არ არისო და გამეფა „სალა-
პარაკო სავარჯიშო“. აი რა მტრობა ყოფილა ხალხს
და იღვას შუა! პირველმა განდგენა მწერლობისაგან
მეორე და ამით ინტელიგენციას „საკვები“ აღარ და-
ურჩა. ხალხს და ინტელიგენციას შორის ბრძოლა
ამტყდარა და ბ. მათაშვილი რასაკვირვლია ინტელი-
გენციისაკენ არის. ის ითხოვს არა მარტო „სახალხო
ლიტერატურას“, არამედ საინტელიგენტოსაც; პირვე-
ლი უნდა შეიცავდეს იმას, რასაც უკვე შეიცავს —
„სალაპარაკო სავარჯიშოს“, ხოლო მეორე იმას, რა-

საც პირველი ასე დგენის, სახელდობრ: „იღვს“,
„თეორიას“, „საკაცობრიო იდეალს“ და სხ. ამის-
თანა „დელიკატესებს“...

ერთი სიტყვით, ბ. მათაშვილმა ხალხი და ინ-
ტელიგენცია დაშორა ერთმანერთს არა მარტო მდ-
გომარეობით, არამედ მიმართულებით, იღვითაც. მან
ხალხისაგან განაძევა იღვია და იღვისაგან ხალხი. ეს
გათიშვა მან დაასრულა 1897 წ. ქურხალ „მოამ-
ბეში“. (№ 2).

ბ. მათაშვილი ძალიან შეაწუხა იმ გარემოებამ,
რომ ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის კრებებზე
ბევრი ხალხი ესწრებოდა და გამარჯვებას მის მოწი-
ნალმდევთ ანიჭებდა. და აი ის, იმის მაგიერ, რომ
მარტო ამ უკანასკნელთა წინააღმდეგ ამხედრებული-
ყო, ამხედრდა კიდევ უფრო მედგრათ ხალხის წინააღ-
მდეგ და მოითხოვა ამ დაუპატიჟებელი სტუმრის ფრ-
თების შეკვეცა. ამის დასასაბუთებლათ მან ის გაჰ-
ყო სამ ნაწილათ: უმდაბლესი — „ბრბო“ ანუ „ქუჩა“,
უმალლესი — „საზოგადოება“ და უუმალლესი — ინტე-
ლიგენცია. ინტელიგენცია თავის მხრივ იყოფა ორათ:
„ქეშმარიტი“ და არა — ქეშმარიტი. სადაც კი გამო-
ჩნდება „ქუჩა“, იქ ყოველივე აირ-დაირევა და „ქეშ-
მარიტთ“ გზა არ ეძლევა. ხოლო სადაც მარტო
„საზოგადოება“, იქ „ქეშმარიტინი“ ბატონობენ და
ყოველივე ჩინებულათ მიდის. აშკარაა, ქუთაისის ბან-
კის გასაწესრიგებლათ, აუცილებელია კრებებისაგან
„ქუჩის“ გარეკა, რაც თან გაიყოლიებს „არა-
ქეშმარიტთ“ და დარჩება „საზოგადოება“ და „მისი
ქეშმარიტი წარმომადგენელი — ინტელიგენცია“. ეინ
არის ეს ქეშმარიტი ინტელიგენცია? მას ასე გვიხა-
სიათებს ბ. მათაშვილი:

„საკანი და მოვალეობა ქეშმარიტი ინტელიგენ-
ციის აღმზრდელობის სასაათისაა. მან უნდა მოამზა-
დოს საზოგადოებრივი ცნობიერება და მოამართოს იგი
საყოველთაო სიკეთედ, ქვეყნის საზოგადო ინტერესების
წარმატებად...“.

„ინტელიგენცია ჰმოდერობს, ასწავებს ანუ უნ-
და ასწავებდეს საზოგადოების ჰკუა-გონებას“.

„ინტელიგენცია ამლეკინებს ანუ უნდა ამლეკინებ-
დეს საზოგადოებას ცუდს ზნეს, ფესეს-გამძუდეს ბიწი-
რებასა და ავსა ჩვეულებას და ამ აზრით შესაძლას
სშირათ იმუღებუდი იყოს ბეკრი რამ აჩა სასაიმოვნო
და საწყენი უთხრას“ („მოამბე“ № 2 გვ. 89—90).

ერთი სიტყვით, ინტელიგენცია ყოფილა აღმზრ-
დელი, დამრიგებელი, ჰკუის მასწავლებელი. ის ქა-
დაცბს, მმოდერობს, მასწავლებლობს, საზოგადოება
კი ისმენს, ითვისებს და მორჩილობს. ხოლო „ბრ-
ბო“, „ქუჩა“ იმდენათ ბრიყვია, რომ ამ ქადაგებისას
მინც ვერას გაიგებს და აუდიტორიისგანაც გამორი-

ცხულია. ამით აუდიტორია, როგორც იყო, შევიწროვდა, შიგ ალარაინ დაჩა ვარდა „ქეშმარიტ ინტელიგენტთა“ და მათი შევიწროვდა „საზოგადოებისა“. აი ასეთ პატარა ასარჩევზე „ქეშმარიტნი“ გავლენას პოულობენ და კიდევაც იმარჯვებენ. ე. ი. ინტელიგენცია მაშინ მალღდება, როცა მის აქლოს ალარაინ რჩება, ვარდა თავის თავისა. ის მაშინ არის ბუმბერაზი, როცა ხალხისაგან გამდგარია და თავისთვის მარტო კარჩაკეტილია. აი, რა საკვირველებადის მივიდა ბ. მაიაშვილი თავისი უკან-უკან სარულით. აი რა ახირებული თეორია შეიმუშავა მან ქუთაისში და ის ქუთაისის ინტელიგენციის დროშათ გამოიტანა. ეს ინტელიგენცია ღღეს ამ დროშის ქვეშ დგას და ყოველივე მისი შეცდომა თუ დამარცხება აქედან მომდინარეობს.

ამ გვარათ, ჩვენ გავითვალისწინეთ ის საოცარი გადასწავლერება, რომელიც შუათანა თაობის ერთმა საუკეთესო წევრმა განიცადა. ის პარველათ ემზრობოდა ერის უმრავლესობას (გლეხობას) და ინტელიგენციასაც ხალხთან დაკავშირებას ურჩევდა, შემდეგ მიემხრო უმცირესობას (თავად-აზნაურობას) და ინტელიგენციაც უმრავლესობას განაშორა და ბოლოს მოაშორა უმცირესობასაც და ოთახში კარები ჩაუკეტა. და ასე დრო გადასული ფეოდალი და უნიადგო ინტელიგენტი — აი ორი მხარე ერთი და იმავე მიმართულებისა. ეს მიმართულება არის მიმართულება ბ. მაიაშვილის და მასთან ერთათ მთელი შუათანა თაობისა... 1)

ნ. ჟორდანიას.

სხვა-და-სხვა ამბავი.

თფილისის სათავად-აზნაურო ბანკის წარმომადგენელთა კრება დანიშნულია 30 მაისისათვის. კრების საგანია, სხვათა შორის, განხილვა წინადადებისა შესახებ ბანკში მოსამსახურეთათვის საპენსიო კასის დაარსებისა. ამ კრებაზედვე მოხდება არჩევანი გამგე-

1) ამ დღეებში ერთი ასირებული სამსახური გაუქმდა. მაიაშვილს „სახლ. მიმოხ.“ რედაქციამ. მისი უკანასკნელი ფელეტონის („Еще о „мелких“ людях“) სახსურს წერილი გაუუგზავნე დასაბუქდათ, აღმითქვას დაბუქდა და შემდეგ ორი კვირისა უარი თქვას. ეს, უეჭველად, „სახლ. მიმოხილვას“ ბ. მაიაშვილის მოყვრებით მოუვიდა, მან მუ რამ მაიაშვილის აღაგას ვიყო რედაქციას ამას მტრებაში ჩამოკარბთქვადი. მის დასაფარვათ, ცხადია, განსაკუთრებითი ზომები ყოფილა საჭირო. აი, შედეგებიც ასეთი უნდა!

ნ. ჟ.

ობის ორი წევრისა, უკან. თ. მ. გრუზინსკის და ქ. ი. მამაცაშვილის ნაცვლათ, რომელთაც სამსახურის ვადა უთავდებათ და აგრეთვე დამუხსებელი კამისის ორი წევრის ნაცვლათ თ. ლ. ჩერქეზიშვილისა და თ. ნ. ა. თუმანიშვილისა.

ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის წარმომადგენელთა კრება დანიშნულია 31 მაისისათვის. აქ ბანკის კრება არ ყოფილა 1893 წლის შემდეგ და ამიტომ წლებადნელ კრებას უნდა გაშინჯოს უკანასკნელი ხუთი წლის ბანკის ანგარიშები და აიჩიოს ბანკის მოსამსახურეები თავმჯდომარითურთ. მხოლოდ განსახილველ საგანთა შორის ზედამხედველ კომიტეტს შეუტანია რევიზორის ანგარიში, რომელიც, როგორც ვიცით, საკმაო ლაქას ცხებს ბანკის გამგებელთ.

16 მაისს წერ. კ. გამ. საზოგადოება გამართავს საქველ-მოქმედო ბაზარს. იმედია ჩვენი ქართველი საზოგადოება არ მოაკლებს თავის თანაგრძობას; ვისაც სურს შესწიროს რამ უნდა გაუგზავნოს კნ. ოლლა თად. ქვეჭავჭავისას. ნიკ. ქუჩა № 21.

25 აპრილს აკურთხეს ქალაქის მეორე უფასო სამკურნალო, ეს სამკურნალო იმყოფება კუკიაში, ალექსანდრეს და კათოლიკეთა ქუჩების კუთხეში, მელქუმოვის სახლებში.

ამ კვირაში თფილისის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში მოხდა კახეთის მევენახეთა და მეღვინეთა კერძო მოლაპარაკება, რომელზედაც შეიმუშავეს პროგრამა მევენახეთა მომავალი სამაზრო კრებებისა. პროგრამა, სხვათა შორის, შეიცავს შემდეგ კითხვებს: მევენახეთა ახლანდელი მდგომარეობა; დასახლება იმ ზომების, რომელნიც გააუმჯობესებენ მევენახეობას, წერილი სამელოიორაციო კრედიტი ღ სხ.

სასანიტარო სამკურნალო საბჭო შესდგომია თფილისში არსებულ ქარხნებისათვის სავალდებულო დადგენილებათა შემუშავებას.

ნიკიტინის ცირკში ამიერიდან ყოველ ხუთშაბათს გაიმართება ქართული წარმოდგენები. ადგილის ფასებია ორი შაურიდან ერთ მანეთამდე.


როგორც იუწყებიან, სოხუმელთ განუზრახავთ ქალაქის თავათ გაიწვიონ ჩვენი ცნობილი მოღვაწე ალ. სარაჯიშვილი, რომელიც ამ წამათ განჯაში მსახურობს. ალ. სარაჯიშვილი ცნობილია როგორც მხნე, გამოც-

დლი და პირუთენელი კაცი და გვეგონია სოხუმსაც ასეთი კაცი ესაჭიროება

ჩვენში ჯარის კაცის მოკრება ცოტა სხვანაირათ წარმოებდა ვინემ რუსეთში. აქ ანაწილებდენ მკვიდრთ არა-მკვიდრთაგან და ცალ-ცალკე უყრიდენ კენჭს. მკვიდრათ ირიცხებოდა ქართველი და სომეხი, ხოლო რუსი და სხ. მოსულათ. ახლა სამინისტროს ეს მოუსპია და გუბერნატორებისათვის მოუწერია, საჭირო არ არის ასეთი დანაწილება და ყველა ჯარში გასაწევვე პირთა სია ერთათ შეადგინეთ მათი შთამომავლობის აღუნიშნელათო. („თფ. ფურ.“).

21 აპრილს მოხდა კუხის მეაბრეშუმეთა ამხანაგობის წლიური კრება. მმართველის ანგარიშიდან ჩანს, რომ ამხანაგობას ჰქონებია პარველ მარტისთვის 1898 წ. სულ 26, 856 მ. 4 კაპ. ხოლო ამ წლის პირველ მარტს—28, 518 მ. 66 კაპ. ამ ერთი წლის განმავლობაში ამხანაგობას მოუგია 4, 190 მ. 97 კ.

ბაქოს საქველ-მოქმედო საზოგადოებას—განუზრახავს აავოს ქალთათვის „შრომის სახლი“, სადაც უსაქმოდ დარჩენილ დედა-კაცთ თავშესაფარს და საშუაოს მისცემენ.



„კეკელის“ კორესპონდენციები.

სოფ. ჯეჯგანი (შორაპნის მაზრა). ჩვენც ლეღვანელებსა და მარეღისელებს ათასგვარ სიმანინჯესთან ერთი სისაღვე გვაქვს, ეს ის გარემოება განლაგსთ, რომ ჩვენ სოფლებში თავად-აზნაურობას თავისი ფეოდალური კვალი ვერ დაუჩინია. თავადი სულ არაფერ არ სახლობს, არიან მხოლოდ ორიოდ აზნაურები, მარა ისინიც ნაკლებათ აზნაურობენ, ამხანაგურათ არიან მეზობელ გლეხ-კაცობასთან შეთვისებულნი და იმათთან ერთათ ეწვეიან შრომის მძიმე უღელს, არც კი უნდათ გაიხსენონ, თავისი ძველი „ტიტული“ და თუ მაინც გაგიტაცათ ოხუნჯობის სურვილმა და შეეკითხნეთ: თქვენ ხომ აზნაური ხართ და ასე რათ მუშაობთო, ის გიპასუხებთ: ოჰ, ჩემო ძმაო, რა მოგეიტანა ამ ცარიელმა აზნაურობამ, დღეს აზნაური და თავადიც იგია, ვისაც რამე აქვსო. მარა საქმარისია განა მარტო ეს გარემოება ჩვენი სხვა ათას გვარ სიმანინჯის გასასწორებლათ?.. რასაკვირველია არა...

ჩვენი გზები საშინლათ არის გაუფუჭებული, ზოგან კისერ სატეხი კლდე-ხრამებია და ზოგან გაუფაღი ტლაპო-ტალახები, რის შეკეთებაც წელს კარგ

ამინდიან ზამთარში, როცა მუშა ხელი ასე მოკლილი არის, ადვილი მოსახერხებელი იყო, მარა ვის შეტკივა გული ამისთვის, ვინ არის პატრონი?! ახლა, როგორც ვიცი, სახელარის ხეტყის ქარხანის პატრონი თავადი ნაკაშიძე აკეთებინებს იმ გზას, რომელზედაც თავის ქარხანაში დამუშავებული ხეტყის მასალა უნდა გაატაროს ურმით, სადგურ მარეღისამდღი, იგივე გზა არის ჩვენი სოფლისათვის უსაჭიროესი გზა. გზის შეკეთების გარდა, თ. ნ—შიძის პრიკაშიც ბ-ნს გოგელიას იჯარით მიუცია ვილაცასთვის ჩხერიმელაზე ხიდის გაკეთება, რომელზედაც ურემი თავისუფლათ უნდა გავიდეს; ხიდის გაკეთება აუღია მოიჯარადრეს სამოც, თუ სამოც-და-ათ მანეთათ.

ახლა, რასაკვირველია, მოიჯარადრე მოინდომებს რაც შეიძლება ადვილათ გააკეთოს და იაფათ დაიჯინოს, რომ ამაში შრომის ფასს გარდა რამე კიდევ მოიგოს, თეარა იმას კი არ ეცდება, რომ ხიდი კარგი მაგარი და სასარგებლო იყოს. და ასე დღეს თუ ხელო გაკეთებისთანავე წყალი წაიღებს და დავრჩებით ისევ უხილოდ წყალში ჩაცვინული და ტყუილა უბრალოდ დაიღუპება ამდენი ნამაგვე, შრომა და ფული. ცოტა რომ ეთქვათ, გზის შეკეთება და ეს ბოგირი ქარხანის პატრონს 200 მანათი მაინც დაუჯდება. ახლა ეთქვათ ამდენიც რომ სოფელს მოეგროვებია და მუშაობითაც დახმარებოდა, შევნიერ გზასა და ხიდს გაიკეთებდენ თითქმის საუკუნოთ (აქაურ ვზებზე ქვასა და ხრეშს მხოლოდ რამდენიმე სატენიდან უნდა გამოტანა), მარა სად არის კაცი.

სხვა ამოდენა სოფლებში ორი და სამი სასწაელებლებია და წიგნთ-აცავ-სამკითხველოც კი. ჩვენ ძლიერ შარშან ველირსეთ ერთ კლასიან სასწაელებელს და იცოც არ გვაქ ხეირიანათ მოწყობილი, თეარა სამკითხველოს ვილა ჩივის. აქაური მკვიდრნი შედარებით სხვა ჩვენი ქვეყნის სოფლებზე არც ისე ღარიბნი არიან, რომ სასწაელებლისა და სხვა სოფლის საკეთილდღეო დაწესებულების ნიეთიერი დახმარება ვერ შეიძლონ, მხოლოდ საჭიროა მხნე და გონიერული წინამძღოლობა. აი, აქ ითქმის სწორეთ „სამკალი ფრიად, ხოლო მუშაკნი ყოვლად არა“-ო.

არსად ისე პატივით და მოკრძალებით არ ეპყრობიან ფრაკოსან კაკარდოსნებს, როგორც აქ. საკმარისია უბრალო რკინის გზის მეისრის თეთრ ფალასებიანი გეპანაკი ეცვას და თავზე მისივე კაკარდიანი ქუდი ეხუროს კაცს, რომ თავის თავი უპირველეს კაცათ, უპატიოსნესათაც კი წარმოიდგინოს.

აგერ სამ წელზე მეტია, რაც აქ ბატონობს ერთი კაკარდოსანი რაინდი და მერე იცით, როგორ ბატონობს?.. ნამდვილ მკლავაძურათ, იმ განსხვავებით

რომ მკლავადეს თუ თავისი ღონიერი მკლავის იმედი ჰქონდა თავისი უსინდისო განზრახვის დასაკმაყოფილებლათ, ამ ჩვენ მკლავადეს კაკარდის იმედი აქვს და თავისი სუსტი მკლავების ნაკლს ამითი იესებს ჭ ისრულებს: ყოველგვარ ვნებათა ღელვის უმსგავსო სურვილებს...

შავი მთის მუშა.

დაბა სამტრედიას. ეს რამდენიმე ხანია სამტრედიის ბიბლიოთეკა გაუქმდა და დღემდის ყურსაც არავინ იბერტყს მის გამოცოცხლებასზე. ამ ბიბლიოთეკას გვაზრინი გძელი ისტორია აქვს და აქვე მას აღვნიშნავ მოკლეთ.

აი, ამისათვის მსურს, ბატონო მკითხველო, სამტრედია გაგაცნოთ და წიგნთსაცავის შესახებ ორიოდე ამბავიც მოგახსენოთ: ერთმა ახალგაზდა ყმაწვილმა კაცმა ამ ხუთი წლის წინეთ აიღო ნებართვა წიგნთსაცავის გაღებისა და როგორც იყო კიდევაც გააღო. თანამგზობელი მცირე აღმოუჩნდა, უმეტესმა ნაწილმა არც კი მიხედა. შემოსავალი არსაიდან ჰქონდა და ყოველი ხარჯების გაწევა ერთი კაციასგან ძველი იყო. ამისათვის ის იძულებული შეიქნა ბიბლიოთეკა ან უნდა გადაეცა ვისმესთვის და ან უნდა დაეხურა, მიმღები არავინ გამოჩნდა. და ისე დახურა. და ასე წავიდა და წავიდა, თავი აღარავის შეუწყუბნებია. რამდენსამე ხანს შემდეგ გაჩნდა მეორე ახალგაზდა ყმაწვილი კაცი და ხელ-ახლა აღძრა ბიბლიოთეკის კითხვა, სირცხვილია ამდენ მცხოვრებლებს ერთი რიგიანი წიგნთსაცავი აღარ ჰქონდესო. მას სხვებმაც თანაუგრძენეს და ერთათ გადაწყვიტეს ბიბლიოთეკის დაარსება. წევრებს დამაარსებელს ხუთი მანეთი უნდა შეგვეტანა და შემდეგ თვაურათ ათათი შაური გვეძლია, მეთაურათ ერთხმით ამოიჩიეს ბ. ზ — შეილი. ამ დროს პირველი ბიბლიოთეკის დამაარსებელი ჩამოვიდა და სიხარულით მიეგება ამ ამბავს. კეთილი და პატიოსანი, მე ჩემს წიგნებს დაგიტომობთ და როცა შეიძლოთ მაშინ გადამიხადეთო. ამის წინააღმდეგი შეიქნა მეორე ახალგაზდა, რომელსაც მისი ზოგი წიგნები არ მოწონდა, ყველა წიგნები არ გვინდა, ამორჩევით ვიყიდითო, ბიბლიოთეკა უმისოთაც ღარიბია, ავსა და კარგს ერთათ ვერ აფურცეთო. თურმე ნუ იტყვი მათ სხვა-და-სხვა არსება ჰქონებიათ წიგნის კითხვის შესახებ და მისთვის ვერ დათანხმდნენ. ამ გარემოებამ დიდათ დამაბრკოლებელი საქმე გამოიწვია. მათ შეტაკებამ ეს პატარა წრე ორათ გაჰყო და ბიბლიოთეკა განაშადა სასიკვდილოთ. მარა ერთ შეწევნიერ დღეს მას გამოუჩნდა მამინაცვალი, რომელმაც ითავა მისი აღზრდა და თავის თავზე იღვა ყოველივე მისი ზედ-იღბალი: რას

მიქვიან კამიტეტი და მათი დამაარსებელი წევრები განაცხადა მან, თუ ვისმე გული შეტკიოდა, რატომ მაშინ არ უშველეს, როცა ცხონებულმა მამა მისმა უპატრონოთ დატოვაო. მე კარგათ ვიცნობ აქაურ ხალხს და მათ ზედოვლათობასო, ამ სიტყვით ყველა განდევნილ იქმნა და ერთ კვირას შემდეგ კიდევაც გამოიჭიმა შეწევნიერი სამკითხველო. ყველა მკითხველს შეეძლო თავისუფლათ შესულიყო და რაც კი სურდა მუქათათ ეკითხა.

კეთილი და პატიოსანი, და, სწორეთ უნდა მოგახსენოთ, ერთი საუკეთესო მშრომელათ ჩაირიცხებოდა ის, რომ ბოლომდის თავი გაეტანა. ეს არ მოხერხდებოდა თავის დღეში. საკუთარი ბიბლიოთეკის დაარსება და შენახვა იმისთანა კაცს შეუძლია, რომელსაც ათასობით შემოუდის. ხოლო ამ შეწევნიერათ გაჩაღებულ ბიბლიოთეკას არავითარი საცხოვრებელი წყარო არ ჰქონდა. ბოლოს პატრონმა აიღო და ვილაცას ჩააბარა შენთვის მომინდვიაო. ახალ-მოვლენილმა პატრონმა ჩაიციხა და მუქარის თვალით გადმოგებდა დამაარსებელ წევრებს, ხომ მიცნობთ ახლა პანც ვინა ვარ, რომ კაცათ არ მაგდებდითო, გამოგივლეთ პირში ჩალა თუ არაო და შეუდგა თავდარიგს. ვინ ჰყავდა კანტროლათ. იცოცხლე, რომ იმან საქმე დამართა: იმდენი წიწკნა, იმდენი აწვალა, რომ სანამ სული არ ამოახდინა, მანამ აღარ მოეშვა. თუმცა ყველას გვესმოდა მისი წრიბინი და ტირილი, მაგრამ ვის რა ნება გექონდა რამე გვეთქვა და ერთ შეწევნიერ დილას წიგნთსაცავს კარები გამოუკეტა და თითონაც კი სადღაც გაქრა. სად არის, არავინ იცის. და ასე წიგნები აწყვია კარჩაკეტილში და აზრათაც არავის მოუდის დაიხსნას ის ტყვეობისაგან. დრო არის ამას მიექცეს ყურადღება, თვარა ლამის არის ღვინოში ჩაიღრჩვენ აქაური ახალგაზდები.

დიდი ხნის მკითხველი.

კვირიდან კვირამდე

ფიქსიონალი — მიტინგზე — ერთი ასირეულები „ისში“ — რა ყოფილა „სონელობა“ — ქანთველი კულტურისეუბი — „ანტიკაპიტალისტები“ — ს კაპიტალისტური მოღვაწეობა — იშვიათი „დექტორი“.

მოგეხსენებათ, რომ ძველათ საბერძნეთის ხალხი თავის ღმერთებს აუჯანყდა და ოლიმპიდან ერთიანათ გადარეკა. ეს დაბრწყინებულნიც განიბნენ მთელ ქვეყანაზე და შემდეგ დიდი ხნის აქეთ-იქით ხეტიალისა ერთათ შემოკრბენ, განკაცდენ და ინტელიგენტე-



ბის სახით ამ ქამათ ქუთაისის ბულვარდში დაკოტრილობენ. კარგი ხანია გამეგონა მათი საზღაპრო ამბები და კაკალი გულით მიწოდდა ეს ქუთაისის ოლიმპიელნი ერთხელ მაინც მენახა. ამ იმედით გასულ კვირას შევალე ბულვარდის კარები და მოგეცათ სიცოცხლე მე სანახაობა ვნახე. წვერებ გათეთრებული ზევს მთელი თავისი ამალით მოედანზე გამოსულიყო და ბულვარდი შესავალ გამოსავლიანა დაეპყრო. აქ ამაოთ დაუწყებდი ძებნას უბრალო მომაკვდავს. ღმერთებთან თურმე ისინი ახირებულათ ვერ მიბედვენ და თუ ვინმემ უცაბედათ გაბედა და მიუახლოვდა, სასჯელათ, მათ სიაში ჩარიცხვას მოსთხოვენ. და ვაი შენი ბრალი თუ არ ჩაეწერე, ბულვარდზე კი არა, მგონი ქუთაისშიაც აღარ დაგაყენონ. ეს უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ ღმერთები ერთობ ძალიან გამრავლებულან, ოლიმპიდან ვადმოხვეწილნი ძლივს ათიოდე იქნება, აქ ესენი ორმოცდა ათათ გადაქცეულან. უმრავლესობა სულ ახალი გაღმერთებულია და დიდი ნეტარებით შეჰყურებენ თავის მომავლინებელთ. ეს უკანასკნელნი გან-განზე დადიან და ახლებს თავს არ უყადრიან, ჯერ ჩვენსავით გაგიტეთრდესთ თმა და მერე მოგეცემათ უფლება ჩვენთან საუბრით დატკობისო.

* *

მართალია ძველი ოლიმპიელნი უფრო მოქმედებდნენ ვინემ საუბრობდნენ, მარა დრო გამოიცვალა და ქუთაისის ბულვარდელნიც სულ ლაპარაკში ატარებენ წუთისოფელს. ამ ხანათ მათ ერთათ ერთი სალაპარაკო საგანი აქვთ—ეს არის „კალისტრატისში“ და ვინც ამაზე ერთ „რეის“ მაინც არ წარმოთქვამს, იმისთვის დახშულია ბულვარდის კარები. ამისათვის პატარ-პატარა მიტინგებია გამართული ზედ შემოსავალთან, ისე როგორც ლონდონის ჰაიდპარკში იცაან ხოლმე. ყველა კაბინეტებში შეთხზულ-გამოგონილი აქ გადმოაქვთ და დიდი მჭვრემეტყველობით აუწყებენ მსმენელთ. ამ მხრით, ეს ქუთაისის ბულვარდი—ერთათ ერთია ჩვენ ქვეყანაში და არა თუ ჩვენში, მგონი ბევრ სხვა ქვეყნებშიაც. ამის მზგავსს ისევე პარიჟში და ლონდონში თუ მონახავთ, თვარა სხვაგან ვერსად. და ჩემ ხელთ რომ იყოს ქუთაისისთანა ბულვარდს ყველა ჩვენ ქალაქებში გაეაჩნდი, რომ... რომ ერთი ნაკლულეგანება არ ჰქონდეს: არც ერთი პლანი, რომელიც კი ბულვარდზე გამოიფინება, სისრულეში არ მოდის. და ამიტომ ხელში გრჩებათ სულ ლაპარაკი და ლაპარაკი.


* *

და აი გასულ კვირას მეც ამალაპარაკეს იმ თავსაზეთქ „იზმზე“. მართალია „ქვეიან კაცსავით“ ჩემ-

თვის „ფორმულიარი სპისოკი“ არ მოუთხოვიათ, ვინ ხარ, საიდან მოხვალო, მარა სამაგიეროთ დამიჭინეს, გინდა თუ არა, უთუოთ „იზმის“ მომხრე უნდა იყოვო. მე ვუპასუხე: მართალია ერთი „იზმის“ მომხრე კი ვარ, მარა ეს ის არ არის, რომელიც თქვენ გაწუხებდსთ თქვა. ვინ დაგიჯერა! სწორეთ ის იქნება, თუ არა სხვა „იზმი“ ამ ჩვენ ქუთაისში არ ბოგინობსო. ამავე დროს მეორე მეზობელ მიტინგზედაც გაცხარებული შეჯახება იყო. შუაში მოემწყვდიათ ჩვენი პოეტი აკაკი და სახარებას უკითხავდნენ. და მერე ვინ? ამას ნულარ იკითხავთ, ეს ისევე ქუთაისის ბულვარდის საიდუმლოებათ უნდა დარჩეს... ერთი სიტყვით, ყველა მიტინგზე საშინელი კორიანტელი იყო აყენებული და ეს საერთო შეტაკება ძლივს სამხრობაზე გათავდა. საღამოს ისევე ჩამოეფუარე ბულვარდს, ვგების კიდევ გადავადლო თვალი ოლიმპიელთ მეთქი, მარა თქვენც არ მომიკვდეთ, ბულვარდი საესე იყო ხალხით, ხოლო ისინი კი აღარ ჩნდნენ. თურმე „ბროში“ არ ერევიან და როცა ეს ბულვარდის ერთი კარებიდან შემოდის, მეორედან ისინი გადიან. და ასე ეს სადნო მოედანი ხან ერთს უკავია და ხან მეორეს...

* *

ქუთაისზე არა ნაკლები შესანიშნავი ყოფილა დ. ხონი, რასაკვირველია, არა თავისი ლაპარაკით, არამედ თავისი საქმით. რაც უფრო უახლოვდებით ხონს, მით უფრო გაკვირვებდსთ ნაკოფი მათი შრომის, ბეჯითობის და მუყაითობისა. ნაირ-ნაირი სახლები, ფართო ლამაზი ეზოები, ჩინებული ღობეები მოხდენილათ ჩამწკრივებულთა შარის პირათ და მგზავრის ყურადღებას ერთიანათ იტაცებს. ამ საერთო ჰარმონიას არღვევს მხოლოთ აქა-იქ, თუმცა იშვიათათ, ჩაჩხირული ისრით დახურული მიწური სახლები, რაიცა გაგახსენებს იმას, რომ „ღმერთმა ერთი რათ აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოსო“. მარა რაც უნდა იყოს, ცხონებულთა რიცხვი აქ ბევრია და ესენი თითქმის სულ ყველა გუშინდელი ვიგინდარებია. ყველა გამაჩენილ ადგილას გლენები სახლობენ, ხოლო სადღაც უკან, მიმალულ ადგილებში, აზნაურები. ამ ქვეყნის ბრუნვას აქ გლენობა წამოუყენებია წინ, მარა არა ისე როგორც ყოველგან, არამედ სულ სხვანაირათ, ხონურათ. ხონელი გლენი უკვე ბურჟუათ გამხდარა და თავისი საკუთარი ელფერი აქაურობისათვის დაუჩნევია. არ არის ჩვენში კუთხე, რომელიც ისე ღრმათ იყოს გაქლენთილი ბურჟუაზიული მიდრეკილებით, როგორათაც ხონი და მისი მიდამოებია. და ამასთანავე არ არის ისეთი კუთხე რომელსაც ისე ღრმათ აჩნდეს ბეჭედი თანამედროვე კულტურის, როგორათაც ეს ხონის სამფლობელო-




ინგლისის ფოსტა აფრიკის უდაბნოში.

შია ფულს თან შემოჰყალიბა კულტურაც და ძველი ხონი განუახლებია. და როცა თქვენ გესმისთ „ხონელია“—ეს უთუოთ დ. ხონში მცხოვრებელს კი არ მოასწავეს, აჩამედ მის ახლ-მახლო მდებარე სოფლებში მცხოვრებელსაც. შორეულ სოფლებსაც კი თავი მოაქვთ თავისი „ხონელობით“!

* * *

რაც შეეხება თვითონ დაბას—ეს ისეთივე დუ-

ქნების გროვია, როგორც ყოველგან, შეიძლება იმ განსხვავებით, რომ აქ სხვა დაბებზე მეტი ღუქანია და ამით თვით დაბაც გეარიანი მოზდილია, ასე რომ სიდიდით ზოგ მაზრის ქალაქებსაც არ ჩამოუვარდება. შუაგულ ბაზარში ერთი ეგებრთელო ბულვარდია, მზგაესი ქუთაისის ბულვარდისა, სადაც ერთხელ ბურთაობა და ჯირითი წარმოებდა და ახლა უბრალო სასეირნოთ გადაქცეულა. ბურთაობა ხონელების მო-




გონებულაო—იტყვიან გურიაში და ახლა თვით ხონში დათხოვიან. ასე გაშინჯეთ, გიორგობის დღესასწაულიც კი ბუღეარში სეირნობით და მუსიკის სმენით (სამხედრო ორკესტრი უკრავდა) გაატარეს. აი როგორ გაკულტუროსნებულან ხონელები! ხონელს ფულთან ერთათ სწავლაც ჰყვარებია და თავის დაბაში ბევრი სასწავლებლები დაუხსნია. ამათ შორის საყურადღებოა კერძო თაოსნობით გახსნილი ქალთა პროგიმნაზია ქ.—ნი ბახტაძისა. ეს მგონი პირველი მაგალითია, რომ ქართველი ქალი თავისი ხარჯით პროგიმნაზიას ხსნიდეს,—და ეს ერთი მაგალითიც ხონელმა მოგვცა.

* * *

მარა ხონმა მეორე მაგალითიც მოგვცა, ღირს ყურადღების და აღნიშვნისა. აქ აბრეშუმის ამოსახვევი ფაბრიკა მუშაობს და თავისი „გუდოკით“ ხონელებს გადასძახებს: მე ვარ თქვენი მერმისი და თქვენთან ერთათ დანარჩენი ქართველებისო. ფაბრიკა კარგა მოზდილია, მისი აშენება და მოწყობა დამჯდარა 25—30 ათას მანეთათ. შიგ მუშაობენ პატარა ქალები, 9—10 წლიდან დაწყებული და ედ-

ღვეათ ორი შაურდიან ხუთ შაურამდე დღეში. მუშათა რიცხვია 40—60-მდე და წელიწადში ახვევენ ათას ხუთას ფუთ პარკს. ფაბრიკის ორთქლის ძალა უდრის 17 ცხენის ძალას. ყველა ეს და მზაველი სხვა ცნობებაც გადმომცა თვით ფაბრიკანტმა ბ. სანაძემ და თან შემდეგი ერთი საგულისხმეირო ამბავი დასძინა: როცა ფაბრიკას ვაშენებდი, აქაური ინტელიგენტები წინააღმდეგენ, ფაბრიკა დააქცევს, გაყვლეფს და გარყენის ხალხსო და ვინ იცის კიდევ რა არ მითხრეს. მე ვუპასუხე: ეგ სულ ერთია, მე არ ავაშენებ, სხვა მოვა, ვინმე ევროპიელი ან და სომეხი და თქვენდა დაუკითხავათ ააშენებს; თუ ასაშენებელია ისევე არ ჯობს ქართველმა ააშენოს. ეს უეჭველათ უნდა შემოვიდეს. ამას მოითხოვს თვით საქმე და უკეთესი არ იქნება ამ აშენებაში დამეხმაროთ და მასწავლოთ როგორ მოეწყოს სანიტარულათ, ტენიკურათ და სხ. რომ მუშების ჯანმრთელობა დაცულ იქმნას-მეთქი. ამის პასუხათ კი ერთი ჭ იგივე მესმოდა: არ გვინდა ფაბრიკა და არ გვინდაო. მე, რასაკვირველია, მაინც ავაშენე და ყველა მნახველისათვის კარი ღია მაქვს, ვგების რაიმე ახალი მით-



შაკის სასახლე.



ხრან და გამოეყენო. ეს მოკლე სიტყვა ძალიან ახასი
ათებს იმ ინტელიგენტებს, რომელნიც გაჰყვირიან, არ
გვინდა კაპიტალიზმი და ნამდვილათ კი, თვალზე
ხელის აფარებით, კაპიტალიზმის გავრცელებას ყო-
ველივე თავისი სიღუბნით ეხმარებიან.

* *

ხონს როგორ უნდა მოცილდე ისე, რომ ორი-
ოდე სიტყვა ს. კუხზეც არ თქვა. კუხი ხონს აკრავს
და მას რამოდენიმეთ კონკურენტის უწევს. ამ პა-
ტარა სოფელში არსებობს ერთი ამხანაგობა, რო-
მელსაც ასეთი რიხიანი სახელწოდება აქვს: მებარე-
შუმეთა პირველი ამხანაგობა ქუთაისის გუბერნიისში.
და ასე გაშინჯეთ, ეს პირველი რამ ისეთ არაპირ-
ველ ადგილას არის, როგორც კუხია. და აი ხონე-
ლებს უთქვამთ: რატომ ის მაინც და მაინც კუხში
უნდა იყოს და არა ხონშიო. და მართლა რატომ?
ამის მიზეზი არაფერია იცის, გარდა კუხის მეთაურისა.
ყველაფერი ხონს, ცოტა რამ კუხსაც ერგებოდა, ამ-
ბობს კუხის დიქტატორი, და ეს კუხის პატრიოტო-
ბა ისე გაძლიერებულია, რომ მის ახლოს, სადღაც დო-
ბილოში, ხონის გამოსაჯავრებლათ, ახალ სოფელ-
საც კი აშენებენ. მართალია ჯერ იქ არაფერია სახლობს,
მარა დასახლება რა საჭიროა, ოღონდ სახელი კი
ერქვას და ქალაქში დაიწეროს: სოფ. კუხი და ს.
„ახალშენიო“. ეს ხომ ორია და განა ერთს ორი არ-
ჯობს? - ხონში სწორეთ მაშინ ჩავედი, როცა მთე-
ლი ხონი და მისი არე-მარე კუხზე და მის დიქტა-
ტორაზე ლაპარაკობდა. წინა დღეს „ამხანაგობის კრე-
ბაზე“ მართველს გამოეცხადებია: აი მოკლე ანგარიში
„ამხანაგობისა“ და რაც ვერ გაიგოთ მე მომანდეთ გა-
საგებათო. მიენდოს, მიენდოს! — იგრიალა კუხელებმა,
არ მიენდოს! — შესძახეს ხონელებმა და აირია მონას-
ტერი, საიდანაც ბოლოს მაინც გამარჯვებული გამო-
ვიდა კუხი და მისი დიქტატორი.

ეკლიან გზაზე.



ენ, ჩემო ჩანგო, მძისხანე ბუდმა
ჩაკი მიგკლენა ეკლიან გზაზე,
ნუ დავიხეკით, გავსწოთ წინა,
კთელთ იგი გზა, ვიარათ მასზე.

ნუ შეგკანინებს მისი კლდანი,
ფეხებ-მსეჩაკი მისი სკაჯი,
ჩადგან ამ გზაზე გვჭირთ შრამა,
ჩადგან ამ გზაზე ჩის სამკაჯი.

თან გავხდეს ჩვენი იმედი, ჩვენსა:
რამ ეს ეკალი გაიკლებს,
და სადაც ახლა მას აქვს ფეხები,
იქ ია-გარდი აღმოცენდება.

სად ისმის გუნჯა, ოფელში ნარკვი
სადაც გადმოჩქეფს ცქემლის ღვარა,
იქ სანეტარო, სამსიარულა
ხმები გაისმის სსკა-და-სსკა გვარა.

მაშ, ჩემო ჩანგო, ამა იმედით
გავსწოთ ამ ძნელ ეკლიან გზაზე
და ჩვენც სსკებთანა, მტინკედი მაინც,
გვალი დაგტოვოთ იმის სსკაჯზე.

ქ. გოგოლაძე.

მცირე შენიშვნა.

(ბ. „გ. წ.“-ს წერილის გამო. „ივერია“ № 81)

ბ. „გ. წ.“ თავის წერილში განმარტებს რა ბ. „ისის“-ს
და ბ. როსტომაშვილის წერილებს სათავად-აზნაურო
თანხის შესახებ, სხვათა შორის ენება მეურნეობასაც
და ბრძანებს: „მიწათ-მოქმედება რომ ქართველი ერის
უმეტესობის წარმოებას შეადგენს, ამას თქმა არ უნ-
და, და თუ მიწათ-მოქმედებას გაეაუმჯობესებთ, თუ
მის მწარმოებელ ძალას განვითარებთ, ეს ყველა
სოფლისათვის სასარგებლო იქნება, როგორც მემა-
მულეებისა, ისე მოიჯარადრეების და მუშებისათვისაც.
სამიწათ-მოქმედო წარმოების გაუმჯობესებას
ეკნება შედეგათ ხალხის კეთილ-დღეობის ამაღლე-
ბასთან ერთათ, მისი ცნობიერების განვითარება და
ფეოდალური ცრუმორწმუნებისა და თვითნებობის
შემცირება. წარმოების გაუმჯობესება მტერია ფეო-
დალიზმისა.


„სამიწათ-მოქმედო წარმოების გაუმჯობესებას
თან მოჰყვება ქალაქის განვითარებაც. ქალაქი შვილია
სოფლის: იგი იკვებება, იზრდება სოფლის ძუძუთი.
თუ სოფელი მდიდარია, მაშინ ქალაქიც მდიდარია, რად-
გან პირველი ბაზარია მეორისა. ამ გვართ სოფლის
სიმდიდრე სელს უწყობს კაპიტალიზმის განვითარებას“.

ამ გვარი მსჯელობა მიწათ-მოქმედებაზე, რო-
გორსაც წარმოადგენს მეორე ნახევარი ამოწერილი
ადგილისა, არის ან უმანკო უვიცობა აწინდელ ხალ-
ხის ეკონომიურ განვითარებისა, ან არა და სოფლის
სიყვარულისაგან დაბადებული ძალათ თვალეზე ხე-

ლის აფარება, ან და კიდევ სრული დაუკვირველობა. მართალი ბძანდება ბ. ვ. წ.“, როცა ბძანებს, რომ „მიწათ-მოქმედება ქართველი ერის უმეტესობის წარმოებას შეადგენს“-ო და მაშინაც მართალი ბძანდება, „თუ“ რომ მიწათ-მოქმედებას გავაუმჯობესებთ, ყველასათვის სასარგებლო იქნება, „შედგათაც ხალხის კეთილდღეობა, ცნობიერების განვითარება და სხვა ექნებაო“. მოგეცათ შევლა, რომ ეგ აკრე იქნება. ამას რალა დავი-დარაბა უნდა. მხოლოდ ეს მიბძანეთ ბ. ვ. წ.-ო, როდის და რა პირობებ-გარემოებებში შეიძლება სამიწათ-მოქმედო წარმოების გაუმჯობესება? როგორც თქვენი წერილიდან ჩანს, ისე, თავისთავათ, ოღონდ ერთი რამდენიმე „სუმა“ ფული გადაიდვას ამისთვის. ჰა, არა, ასე არ ბძანებთ? მაგრამ არა, საქმე ასე არ არის. ამისათვის განსაკუთრებითი საკუთარი პირობები არსებობენ, ურომლებსოთ ყოველივე გაუმჯობესება ამოიხუთება, მოკვდება. და არც ფული გამოგყვებათ იქ, სადაც მას ზრდა არ მოელის. ეს ის პირობებია, რომლებიც ავითარებენ წარმოებითი ძალას ჯერ ქალაქათ, ჰქმნიან ეკონომიურათ მდიდარ ქალაქებს და შემდეგ სოფლისთვისაც იცლიან, რადგანაც ქალაქები არიან მბრძანებლები მის გარშემო მდებარე ადგილებისა. და ამ ადგილებს შეუძლიათ მხოლოდ იმდენათ გაიუმჯობესონ თავისი სამიწათ-მოქმედო წარმოებითი ძალა, რამდენათაც ნებას აძლევს მათ ქალაქი. ამისათვის მდიდარა ქალაქი—მდიდარი იქნება სოფელიც. ეს რომ ასე არ იყვის, მაშ როგორ ახსნიდით იმ გარემოებას, რომ მხოლოდ ქალაქის პირში, ან და რკინის გზით ქალაქთან დაახლოვებულ ადგილებში შეიძლება ინტენსიური წარმოება და მხოლოდ იქ არსებობენ გაუმჯობესებული სამეურნეო სისტემები? მაშ რით ახსნება ის, რომ ჯერ ამ ადგილებში დასახლებული ხალხი იწყებს „კეთილდღეობას?“ მაგალითისთვის რომ შორს არ წავედეთ, მიხედ-მოიხედეთ თქვენ გარშემო, ჩვენ ქვეყანაში, ვინ ამოძვრა და ძვრება პირველათ მიწურ ქოხებიდან? ისინი, ვინც თფილისთან უფრო დაახლოვებული იყო. რათა? იმიტომ რომ თფილისი გადიდა, გამდიდრდა, მოთხოვნილებანი გაუფართოვდნ და უბრძანა სოფელს, მომიშადაც ესა და ეს, ივიც უშადადებს და ამით „კეთილ დღეობს“. და ვინც ჩქარა და იაფათ მიირთმევს, იმისია გამარჯვებაც. როგორ გგონიათ, ვინ გამდიდრა პარიჟი, ლონდონი, ბერლინი და სხვა ამ გვარი ბაზრები? სოფელიმა? არა გგონია, რადგან ვიცით, რომ როცა ეს ქალაქები მდიდრდებოდნ, სოფელი შიშველ-ტიტველი და გაცარკული თავის საკუთარ შეილებს მათკენ გზავნიდა საცხოვრებელის მოსაპოვებლათ. რატომ გამდიდრდნ დღეს ის სოფლები, რომლებიც

ამ ქალაქებს გარს ახვევიან? იმიტომ რომ ქალაქის თავისუფალი კაპიტალი სოფლათ გავიდა და იქაც ისეთი პირობები შექნა, სადაც მას კვება და ზრდა შეეძლო. მაშ რით ახსნება ის მოვლენა, რომ ლონდონი ჩვენშიაც კი მოქმედობს? იქნება გგონიათ, რომ ჩვენმა იმერულმა ლომმა გამდიდროს ლონდონი? ან ელის, როდის იქნება, რომ ჩვენ გამდიდრდეთ და მერე მასაც ელირსოს ეს ბედნიერება? თუ ლონდონს აქვს ჩვენზე გავლენა და მისგან ველით გამოჩინას? მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, რადგან მეტათ მრავალია, მაგრამ ესეც კმარა იმის დასამტკიცებლათ, თუ როგორ ავირევიათ მიზეზი და შედეგი ერთმანეთში. ერთი სიტყვით, თქვენი ფორმულა: მდიდარია სოფელი—მდიდარია ქალაქიც, ერთიანათ უნდა შებრუნდეს ასე: მდიდარია ქალაქი—მდიდარია სოფელიც. „ქალაქი შეიღას სოფლის“-ო, ბძანებთ ბ. ვ. წ.-ო. თუნდა ვგრე იყოს, მაგრამ შეილი ურჩი, მშობლის ამავის დაუნახავი, კირვეული, მბრძანებელი, შეილი მცირე მოთხოვნილებიანი მშობლებისა, რომელიც უბრძანებს მათ მეტი ფულის (საკირობებისთვის) გაგზავნას და ამით აიძულებს ბებრებს ბერ რამეზე ხელის მოკიდებას. ვერ გამოდგა თქვენი ბუნებრივი შემკვიდრეობითი კანონი ბ. ვ. წ.-ო! ცხადია, კაპიტალიზმის განვითარება ქალაქში ხელს უწყობს სოფლის სამდიდრესაც და მაშასადამე უსაბუთოა ის რასაც თქვენ ბძანებთ.

ნ. ა—ლი.



წერილი რედაქციის მიმართ.

ზაზ. „ივერიაში“ იურიეის 21 ახლათ ჩამოსულ სტუდენტს დაუბეჭდია ვრცელი წერილი, რომლითაც სრულებით უფაქტოთ და უსაბუთოთ ამართლებენ შარშანდელ ქართველ სტუდენტთა ერთი ჯგუფის დევ-გმირობას.

ეს დევ-გმირობა მოეფინა მთელი რუსეთის საზოგადოებას გაზეთების საშუალებით. და ჩვენც აღვნიშნეთ ის „კვალში“ (იხ. 1898 წ. № 13)

ჩვენ მათ უმთავრესათ ბრალსა ვდებდით იმაში, რომ საღამოზე მუშტი-კრივი გამართეს და მით ქართველობა შეარცხენეს. მუშტი კრივზე ალაპარაკდნ არა მარტო ჩვენი გაზეთები, არამედ სხვებიც, მაგ.: Вирж. Вѣд., Прибалтійскій Листокъ, Рижскій вѣст., Nordliwländische Zeitung № 61 და სხ. და სხ... კორესპონდენცია „Н. Об.“-ისა ჩვენ სრულებით არ გვეკუთნოდა და არც ვინმე ქართველს. და, აი, ახლა მუშტი-კრივის ახალი მოტრუიალე 21 აქაური სტუდენტი გამოსულა და ლიტონი სიტყვებით ამარ-

თლებს იმას, რაც ყველა გონიერ ორგანომ გაკიცხა. ამიტომ „კვალის“ რედაქციას ამასთანავე ეუფლებინ წერილობითი საბუთებს და დოკუმენტებს და ვთხოვე მსურველს ანახეოს და მით შეძლება მისცეს 21 სტუდენტის მოწმობის ღირსეულათ დაფასებისა.

აი, ეს დოკუმენტები 1) სამსჯავროს ოქმი გძელი შერლის და ათაბეგოვის საქმის შესახებ, რომელიც მეოთხეჯერ სენატში გაიჩინა და გძელიშვილი გაამტყუნეს. 2) იურიევის სტუდენტობის საერთო განაჩენი; 3) მოწმობა რამდენიმე სტუდენტის ხელმოწერილი შესახებ იმისა, რომ ზ. აბდუშელიშვილმა სტ. სკი — ნს სისხლით შეუღება სახე იმავე ქართულ სალამოზუ. მეორე ჩემი ბრალდება იყო სურათების გადაღება. ამის დასამტკიცებლათ ეუფლებინ რედაქციას ამ გმირების სურათს და ფოტოგრაფებისაგან მოწმობებს. ეს სურათები ჯერაც არ გამოუყიდნიათ; უარი განაცხადეს. მიზეზი ის იყო, რომ ჩვენმა წერილმა სურათების დამზადებას მოუხწრო. თავის გასამართლებლათ ამათ სურათები არ აიღეს, მაგრამ ამით საქმე არ შეცვლილა, რადგან ამისთვის დანიშნული სალამოს ფულები სხვა რამეში წავიდნენ. კერძო ფულებით რომ გადაეღოთ, მაშინ კიდევაც გამოიყიდნენ. რაც შეეხება ფულების უთაბოლოო ხარჯვას — ეს იქიდანაც ჩანს, რომ აქამდე არ გამოაქვეყნეს სალამოს ანგარიში, რა უყვეს ანგარიშს, რატომ მალენ? ამასთანავე ეუფლებინ კიდევ ორ საბუთს აქაურ მკლავადეთა დასახსრათებლათ. ამას გარდა, მე დავასახელებ სრულიად გარეშე პირს, თფლისის მიხეილის საავათმყოფოს ექიმს ბ. შატ — ეს, რომელმაც აქ დაამთავრა კურსი და რომელსაც მკლავადის ბევრი საქმენი საგმირონი უნახავს. 1)

ქ. იუჩიკვი. სტ. გ. გელეიშვილი.

1) ეველას აქ ჩამოთვლილი დოკუმენტები რედაქციაში ინახება და მსურველს შეუძლია გაშინჯოს იგი უფკველ დღე 1—2 საათს შორის. ამასთანავე მივმართავთ მეორე ჯგუფის სტუდენტებს და ვთხოვთ წარმოადგინონ ამ დოკუმენტების გასახსრათებელი დოკუმენტები, რომ საზოგადოებამ ორივე ერთათ გაიხსროს, თუ გი მოეპოვებათ ასეთები, რასაკვირველია. აქვე უნდა აღვნიშნო ის უფკველად უმზგავსოთ შესახსრული მოწმობა, რომელიც კიდეც ანანიაშვილმა ბ. ყახასაშვილს მიუბოძა („ივ.“ № 55). მას რომ ვკრწმუნოთ, ამ უკანასკნელმა ვითომ თავის გასამტკიცებელი წერილობითი საბუთები წარმოადგინა რედაქციაში, მხგენს მეც და მანც უფკველდას ან მიუქცით. ეს სულ მთლათ ერთიანათ სიცრუეა. მე ბ. ყახასაშვილს ვუთხარნი, დაწერეთ ის, რასაც შინადათ მეუბნებით და დაბეჭდავ-მეთქი. ეგვევ განგუშეორე

ორი გმირის სატუბარი.



ენაცვალე ჩემ სამსონ ძლიერობას! ბევრი მარყივს, ბევრი მანჯორივს, აქეთ იქიდან შუბებით მომადგენ ვილაც ვილაცები, მარა მანც ისე შეურყველათ ვდგავარ ჩემ ალაგზე, როგორც მოწაში ჩარჭობილი ბოძი!.. ოღნავაც ვერ გადამადგმევენეს ფეხი!.. საკვირველი სიძლიერე და სიმარჯვე გამოვიჩინე!..

— კი, ღმერთმანი! მომილოცავს, რომ ასე ვადარჩი!

— გმადლობთ! გადავჩი? ჰმ!.. საშინელი ჭკუაქუხილი კი ადგა! აქედან-იქიდან ნიავ-ქარი, ქარიშხალი.. მარა, არ მოგეცეს მარცხი, — მე იმან ვერაფერი დამაკლო!.. კაცს თუ ღმერთი წყალობს, ანგელოზები რას დააკლებენ ნეტავეი?..

— უეჭველია!

— უეჭველია და არა! ძველათ რომ სამსონ ძლიერი იყო, ხომ ვაგიგონია, რომ იმას ღმერთი წყალობდა და მიტომაც ვერაფერი დააკლეს აურაცხელმა მტრებმა!..


— მე ასე მგონია, რომ ის სამსონ ძლიერი თქვენი წინათ მომასწავებელი იყო... განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ის მოქმედებდა მუშტით, კრივით, — ფიზიკური ძალ-ღონით და თქვენ კი — ჭკუით, ხერხით, გამოცდილებით..

— განა მე კი დავიწუნებდი იმ ძალ-ღონით მოქმედებას, რომლითაც ჩემი წინა-მორბედი მოქმედებდა?.. სულაც არა! ჰაი, სადა მაქვს ერთი ვირის ყბა, რომ მეც იმისავეთ მოვიქნო იგი და ათასს კი არა — ათი-ათას კაცსაც ზურგზე ბოლი ავადინო!!

— ეჰ, თქვე დალოცვილო! ხელში არა ვაქვს ეგ ვირის ყბა! — უზენაესი განგება ხომ თქვენი მწყალობელია და..

ბ. მედიქიშვილს, რომელსაც წინეთაც ვიცნობდი და რომელიც ერთი სტუდენტის თანდასწრებით (გვარნი აღარ მაგონდება) ჩემსას მოვიდა ამ საგნის შესახებ. ძალიან ვწუხვარ, რომ ეს ან შესწრულეს და ანც სხვა გაზეთში გამოაქვეყნეს. თუ კი „ივერის“ ანანიაშვილის ცილისწამებას ბეჭდავს, განა ყახასაშვილის „საბუთებს“ ან დაბეჭდავს? ცრუობას ისიც, რომ მე ვითომ ყახასაშვილს კორკსმონდენტის ვინაობა დავუხსრევე, როგორც ამას მისი ახალი მოწამე წერს. შესეგონიმის გამოძედავება ავტორის საქმეა, სოლო რედაქციის მოვალეობაა მისი საიდუმლოთ შესახებ.

ნ. ჟ.



ჰაი, ვენაცვალე იმის ძალსა და მადლს! ჩემი მწყალობელია და არა! აი, სწორეთ მისი წყალობითაა, რომ მე ასე უფლებელათ დაერჩი და ჩემი მანებლები კი ზოგი დასაუღლეთში გადავასკუპე, ზოგი აღმოსაუღლეთში და ზოგიც ჩრდილოეთში!.. ყურუშსაღლებმა ვისთან გაბედეს კინკლაობა?.. არ იცოდენ, რომ კამბეჩის მარჩოლარ ხარს რქა არ შერჩებოდა?!

— განა თქვენ კამბეჩი ხართ?! ჰა, ჰა, ჰა, ჰა!.. რამდენი ხანი იქნება მას აქეთ, რაც თქვენ იმ ალაგზე ხართ?

— დიდი ხანია, რასა ბრძანებთ!.. აღარც კი მახსოვს!..

— ათი წელიწადი?

— რას ამბობთ! მეტიც!..

— მაშ თქვენ კანონიერი უფლება უკვე მოგიპოვებიათ იმ ალაგზე და ახლა ვინღა წაგართმევსთ იმას!..

— ჰმ! კანონიერი უფლებაცა მაქვს და უკანონოც! ჩვენში იტყვიან, ცა და ქვეყანა გველ-ვეშაპზე დგასო, — და ესევე რომ ინტელიგენტური ვინთ ვთქვათ, გამოვა — რომ ცა და ქვეყანა ბურჯებზე დგას; — და ნეტავი მას, ვისაც ეს ბურჯები წყალობენ!

— რასაკვირველია ნეტავი მას! მარა ვისაც ამისთანა ბურჯები არა ჰყავს, ან არ წყალობს, იმან თავისთვის თითონ უნდა იბურჯოს. აი, მაგ., მე, დიდი უნარი გამოვიჩინე, მეტი არ შეიძლება!

— დიდი, დიდი სწორეთ!

— როგორ დიდი არა! — ჩემი საქმე ბეწვზე ეკიდა, წარმოიდგინე ბეწვზე! კაცის ფერი აღარ მედღა, ჭამა-სმის მადა აღარ მქონდა, თავ-ბრუ დასხმული, გარეტიანებული დავდიოდი... „რას შერები, ლუარსაბ, მოაწია განკითხვის დღემ, როგორაა საქმე-მეთქი?.. — დავეკითხე ჩემ თავს, — პასუხი არსაიდან იყო. მეორეთ, მესამეთ, — დუმილია... გატენილს მოგახსენებთ, ცუდ გუნებაზე დავდექი... მაგრამ ამ დროს ჯიბეში ჩხრიალი შეიქნა... გული ამიფანცქალდა... სანუგეშო პასუხი მომესმა: ნუ გეშინია, ბატონო, აქა ვართ, გვიმსახურეთო, ამომძახეს ბრჭყეილა ლითონებმა და მეც გავიკარ ჯიბეს ხელი! გავიკარ, მარა ისეთ ნაირათ კი, რომ მთელმა ქალაქმა გაიგონა! „არიქა, ვინ ხართ მამაციო!“ იყვირეს და გამოეშურენ ჩემსკენ, მეც, რასაკვირველია, კალთა-გაშლილი მივეგებე სტუმრებს; მივიწვიე ერთი, ორი, სამი და ამ ნაირათ მთელ მოწინააღმდეგეებს ჯიბეში ამოვაცოფინე თავი!.. საკვირველი გამძლე ჯიბე გამოდგამინც მამა-ცხონებულის შეკერილი! სანამ საჭირო იყო, მთელი მოწინააღმდეგენი ჯიბეში მყავდა დამალული და მერე კი გამოეშურე წმინდა ჰაერზე...

— ვაშა, ვაშა! ლუარსაბ!
— ვაშა, ვაშა, სამსოა!..
— ჩვენ ახლა რა გვაქვს საერთო?
— რა და — ორივე გამარჯვებული ვართ — ერთი, და ორივეს საშინელი მუშა კუჭი გვაქვს — მეორე.
— ამ უკანასკნელი მხრით ჩვენ სწორეთ განსვენებულ ლუარსაბ თათქარიძესა ვგავართ. აცხონოს ღმერთმა! ე კუჭი კი გვიანდერძა სწორეთ და დანარჩენი ხომ ახლა ჩვენ ხელთ არის... წამოდი ერთი ი ჩვენი განსვენებული პაპის შესანდობარი გადავკრათ; მარა ჯერ ეს ერთი ლექსი წაეკითხოთ:

ვიფარფაშოთ ქვეყანაზე,
სანამ ბურჯი ისევ ბურჯობს, —
იმან უწყის, ვისთვის რა თქვას,
ან დუმილი სადაც უჯობს...
ვიფარფაშოთ! ღრმა ჯიბეში
ჩამალული ვრი მუნჯობს!
ვიფარფაშოთ, ვინეტაროთ, —
ჩვენი კუჭი კარგათ კუჭობს!..

ღ—ი.

ქუთაისის 1898 წ. *)

დებუქალური მწავალ-სიჭკვება — ინტელიგენციის ანისტოკრატული ნაწილი — ბუმბუქაზის სურვილი კანონია — ქუთაისის საბჭოში მალაყები — ბ. ს. ყიფიანი და მისი მფარველი ქუთაისი — ქუთათური ქალების გულგუთილობა — დაქსაქსული ასაღვანდობა.

თუმცა ზემოთ ჩამოთვლილ მოძრაობით და კრებებით იყო აქაურობა ერთიანათ მოცილი, მაგრამ არც ერთ მებრძოლ პარტიას არ ავიწყდებოდა ქუთაისის თვით მართველობის მოახლოებულ არჩევნები. ყველა აქეთ იხედებოდა და აქ უპირებდა თავის მოწინააღმდეგეს ჩაჩხვას. ის რაც სხვა სარბიელზე წააგვს, აქ უნდოდათ მოეგოთ. სწორეთ ამ მოსწრებით გამოვიდა საბრძოლველ მოედანზე თუმანოვი-ლორთქიფანიძის პარტია; აქამდის მასზე მიდიოდენ იერიშით, ახლა კი თვითონ მან მოინდომა იერიშის სხეებზე მატანა. ამ წრეს ერთი ნიშნობლივი ხასიათი აქვს: ის ფიქრობს, რომ მისი გზა-კვალი და მოქმედება სხვისთვის სანიმუშოთ უნდა შეიქმნეს. სხვამ

*) იხ. „კვალი“ № 12.

ამაში უნდა ეძიოს ერთი სამოქმედო პროგრამა. ამას რწმამს, რომ მისი ყოველი ნაპიჯი პროგრესია და მხოლოდ პროგრესის აღმნიშვნელია, ამიტომ მას სურს და სხვასაც ავალდებს, რომ მხოლოდ მისი სიტყვა-მოქმედება ითესებოდეს ხალხში. ამას „კვშმართათ“ მოაქვს თავი და ეს ასეც უნდა იყოს. ყველა თავისას აქებს და სხვისას აძაგებს.

მოახლოვდა თუ არა ხმონების და ქალაქის მოურავის საარჩევნო დღეები, მაშინვე საბჭოს არა ჩვეულებრივი დელეგა-ტოკვა დაეტყო. არჩევნების წინ საბჭოში გახშირდა შეტაკება, ინცინდენტი და მალაყები. თუ ამდენსხანს საბჭოში დაყენებულ კითხვების შესახებ გახეთქებში ძალიან ცოტას ლაპარაკობდნენ, სამაგიეროდ ახლა საწერ-კალამს მიმართეს და დაუხშირეს სხვის სიფ-კარგზე წერილების ბეჭდვა. ამ ხელობაში უფრო ოპოზიციამ ცხახლა თავი. ნიშანში თვით ქალაქის თავი ბ. ლოლუა იყო ამოღებული, ოპოზიციას არ, ამ ციხის აღება და შიგფენების მოკეცა სურდა; მაგრამ არც მოპირდაპირეს ეძინა. არჩევნების ორი თვის წინ ორივე ბანაკი შეუდგა მზადებას და კრებების მართვას. დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთიც და მეორეც ერთათ-ერთ მოსაზრებით იყო გამსჭვალული: ოღონდ გაფ-მარჯვეო... ხოლო რა იმარჯვებდა მათთან ერთათ, რას მოუტანდა ეს ქალაქი — ამის გარჩევაში არც ერთი არ შედიოდა, ამით ე. ი. უპროგრამობით ორივე პარტია ერთი მეორეს ჰგავს, ერთი მეორის კოპიაა. მზგავსება კიდევ უფრო შორს მიდის. შენიშნა რა ოპოზიციამ, მოწინააღმდეგეს აკენტები ჰყავსო, თითონაც ბლომათ გაიჩინა; თუ ეს უკანასკნელი მეკენჭეების შესაძენათ ფულ-ლეინოს ხარჯავდა, ამავე გზას დაადგა პირველიც — ერთი სიტყვით არც ერთს ისეთი არა ჩაუდენიარა, რომ ერთმანეთზე უარესები არ იყოს... ეტლებით არა ჩვეულებრივი მისვლა-მოსვლა, მეკენჭეებთან ძმური საუბარი, თავის კანდიდატების ქება დიდება, სხვების გინება-დამცირება (იხ. ბ. არიძის წერალი „კვალი“ № 30), და სხ. რომელიც სამაგალითოდ შეასრულეს.

რაცა სახმოსნო კანდიდატების სიები გადაათვალიერეს, ოპოზიციამ ერთი ჩოჩქოლი შექმნა. ბულვარდი უცებ პარლამენტათ გადაიქცა და საარჩევნო აგიტაცია გაიმართა. ეს სადაური ხალხია, კრიტიკოსობდნენ ოპოზიციონისტები: ეს „იზვოზნიკია“ ეს „მეფურნია“ ის „მიკიტანია“ და სხე. ამ საზომით იწუნებდა ოპოზიცია თავის მოპირდაპირე კანდიდატებს. მას არ მოწონდა არც ერთი ისეთი, რომელიც ან გვაროვნობით, ან მდგომარეობით და ან დიპლომით არ ბრწყინავდა. ამ დროს უფრო ნაკლებს ლო-

ლუას პარტია ყვიროდა. მას უფრო იშვიათათ იმეორებოდა. ხედებოდათ ქუჩებში მქადაგებდნენ. ამ ნაირათ, მას ეტყობოდა ჩვენებური ხერხიანობით მოქმედება და ქუჩებში საყვირლათ ვერ მოეცალა.

ამ ნაირი დელეგა-ტოკვით და მელოური პოლიტიკით შეგროვდნენ 14 იენისს ქუთაისის თეატრში ხმონების ასარჩევათ. ოპოზიციის მეთაურების ხმაურობა აქ არ ისმოდა. მაგრამ ჩარხი ისე იყო მოწყობილი, რომ მათ დამქაშებს მათი სურვილი ელექტორანზე უფრო სწრაფათ უნდა გავერცელებინათ. კენჭის ყრის დროს ისენი ცდილობდნენ რომ რამე მიზენი ხელში ჩაეგდათ, თუ ვინცობაა „ყარაულს“ დაიატ-როვდნენ, მაშინ მიზენიც ხელთ ეცნებოდათ, კენჭის-ყრის გაუქმებას ეცდებოდნენ. ამ ნაირ მოუსვენარ მდგომარეობაში იმყოფებოდა ოპოზიცია კენჭის ყრის ვათაგებამდი. თუ ოპოზიციის სასურველი კანდიდატები არ გავიდოდნენ მაშინ მას ბევრი, ძალიან ბევრი ჰქონდა საკასაციო მიზენები; თუ კი გავიდოდნენ მაშინ არც ერთი ამ მიზენთაგანი თავს არ წამოყოფდა. სწორეთ ამას ჰქვია უჩინ მარინობა! დათვალეს კენჭები და პირ-ქუშ ოპოზიციას მომღიმა-რეობა დაეტყო. არჩეულ ხმონათა უმრავლესობა ოპოზიციას მომხრეობდა და, რასაკვირველია, ოპოზიციამ გამარჯვებულათ გამოაცხადა თავისი თავი. მაკრამ გულში მაინც რალაც ჰია გაუჩნდა და ისევე საქმის ასარე-დასარევათ მიზენები აღმოჩნდა. საბჭოს მდივანმა აქა-იქ წაულაპარაკა, რომ ქალაქის თავმა ლოლუამ ოქმი გადამისწორაო. ამ გარემოებამ ოპოზიციის ბელადები საოცრათ შეათამაშა და ამის გამჟღავნებელ მდივანს ყველაფერი სიკეთე უქადეს, ოღონდ მას ეს საქმე გამოეშკარაებია. მათ პატიოსნებაზე დარწმუნებული მდივანი, თხოვნით ხელში, მ-დის იქ სადაც ამ ნაირ ყალბ ოქმებს გაჩხრეკენ ხოლმე. სანამ გაჩხრეკის დღე დადგებოდა ოპოზიციას სინარულით მიწაზე ფეხი არ ედგა. ის ამბობდა: ოქმის გადასწორებისათვის ლოლუამ ქუთაისი ჩვენ ჩაგვებაროს, თვითონ კი ციმბირში წამოძანდესო.

ამ ამბის გაგონებაზე ლოლუას პარტიასაც დაუარა ქრუანტელმა, მაგრამ როცა ბელადმა უთხრა, არაფერია, დამშვიდდითო, მაშინ კი დარწმუნდნენ, რომ მართლაც აქ საიმისო არაფერი იყო, რასაც ოპოზიცია გაჰყვიროდა. ეს კიდევაც დამტკიცდა პირველ ინსტანციაში, სადაც დაადგინეს, ოქმში სიყალბე არ არისო. ეს კითხვა ოპოზიციის ხმონებმა საბჭოშიაც დააყენეს და მისი გარკვევა მოითხოვეს, მაგრამ ჩქარა დარწმუნდნენ, რომ აქ ისეთი არა იყო რა. და ეს „საქმეც“ მიყუჩდა.

მოახლოვდა იელისის 12-ც, წინანდელი ბრძოლა, წინანდელი მოძრაობა აქ იყრიდა თავს, აქ პო-

ულობდა ძალას, ეს იყო ძველი ქალაქის თავის გა-
შაება და ახალის ამოჩჩევა. ბ. ლოლუა ამას კარ-
გათ გრძნობდა და მთელი ძალ-ლონე ამ დღისათვის
მოიკრიბა. თუ ოპოზიცია მის წინააღმდეგ ბევრ-გვარ
მიზნებს აფრიალებდა ჰაერში, სამაგიეროთ ის იღუ-
მალათ მოქმედებდა, მაგრამ 12 ივლისი მისთვის მა-
ინც დიდი ამოცანა იყო. და თუ რამე დაეხმარა ლო-
ლუას — ეს ისევ ოპოზიციის უპროგრამობა. მის მომ-
ხრე ხმოსანთა უმრავლესობას არაერთარი შემაკავ-
შირებელი მიზანი არ აერთებდა და იყო ისე არეულ-
დარეული ერთმანეთში. ლოლუას ძალიან გაუად-
ვილდა ამ გზა დაბნეულთა მოთვინიერება და ზოგი
მათგანი თავისკენ გადაიყვანა. ის იყო 31 თეთრი
მიიღო მან და 25 შ. ქიქოძემ. ამნაირათ ლოლუა
ისევ ქალაქის თავათ იქნა არჩეული. ასე და ამნაი-
რათ ოპოზიცია ყინულზე დარჩა გაცურებული. მას
ისევე მოუვიდა გული — გაბრაზდა, მიზნებს ეძებდა,
მაგრამ გვიან იყო.

როგორც ვთქვით, საბჭო უმეტესათ ოპოზიციის
თანამგრძობელი ინტელიგენტთა ხმოსნებისაგან შე-
დგება. მაშ ხმოსნებს საბჭოში რამეს გაკეთება თუ
კი შეუძლიათ, ესენიც უნდა აკეთებდნენ, მაგრამ ვა-
რეშე მეთვალყურეები ვრწმუნდებით, რომ ხშირათ
საბჭო გასართობ დარბაზს უფრო გვისახავს, ვიდრე
საქმეების გამწეს-რიგებელ ადგილს. ამის მიზეზია ის,
რომ მტკიცეთ შემუშავებული საზოგადო აზრი არც
ერთ პარტიას არ მოეძევა და უშლანო მოქმედება,
მოგხსენებათ, ვერაფერი მოქმედება.

ქუთაისის თითქმის ყოფილა ზემოთ აღნიშნუ-
ლი მოძრაობა, და ის-ის იყო უნდა ჩვეულებრივ
განცხრომას მისცემოდა, რომ მას თავს წაადგა სე-
ნაკის სკოლა და ბ. ყიფიანი, საქმე ასე იყო: წრეწა-
დელმა (98 წ.) „კვალმა“ იკისრა ჩვენი საზოგადო მი-
მალულ-მომალული საქმეების თვალ წინ დაყენება,
რომ მერე მას თავისი პირუთენელთ განაჩენი წარ-
მოეთქვა; მაგრამ, ჯერ მწერლობაში პირუთენელობას
შეუჩვეული საზოგადოება აღმაცერათ უყურებს მას,
ვინც, საზოგადოთ ცნობილ ადამიანის მოქმედებას
არჩევს, და თავის მოძმეებ უთითებს, აი, ამაში შე-
ცდომა ვნახეთ. ვიმედობთ, რომ მკითხველს კიდევ
კარგათ ახსოვს ბ. ს. ყიფიანი, სენაკის სკოლა, წ.
კ. საზოგადოების გამგეობა და სენაკის სკოლის მზრუ-
ნველი კამიტეტი ქუთაისში. სენაკის სკოლა შერყე-
ულა ბ. ს. ყიფიანის მეთაურობით, — უკეთ რომ ეთქვათ
— უთაურობით, რისთვისაც სკოლა აცდენია თავის
სანატრელ დანიშნულებას — შეგვატყობია „კვალმა“.
შეგვატყობია, რომ სენაკის სკოლის ინსპექტორს არ
დაუცავს სკოლაში პედაგოგიური წესი, ცუდათ
უწარმოებია სკოლის ანგარიში, ჩამოუგდია განხეთ-

ქილება მასწავლებელთა შორის და სხე... ამასვე გვი-
მტკიცებს სენაკის სკოლის აე-კარგის გამოსაძიებლათ
მოხული კამისიის ოქმი. მაგრამ ამ უტყუარ მოსა-
ზრების მიუხედავათ წ. კით. საზ. გამგეობის და ქუთ.
სამზრუნველო კამიტეტს ს. ყიფიანი უდანაშაულოთ
უცენია. ამის ნაცვლათ კი სკოლაში მომუშავე ოფ-
ლის მღერელი მასწავლებლები დაუსჯია. აი, სამარ-
თალაც ამას ჰქვია! ამ გარემოებამ მასწავლებლებს
შორის სამართლიანი კითხვა აღძრა: ისენი ამბობდნენ,
რადგან სხვა გზა არა გვაქვს — კარები ყველგან და-
გვისურგსო. — ისევ საზოგადოების ყურამდი მივიტა-
ნოთ ვე საქმე, თუ გავგამტყუნებს ბარემ მანაც გა-
გვამტყუნოს, თუ ართალი ვართ ისევ მან გავგამარ-
თლოსო. ამ აზრის განსახორციელებლათ მათ მოი-
სურგეს ქუთაისის საზოგადოებისთვის ეს საქმე
გაეცნოთ. ამ მიზნით მათ მიმართეს ქუთათურ ცნო-
ბილ პირთ და თხოვეს დანიშნულ ალაგას მისული-
ყვენ და ეს საქმე განესაჯათ. ქუთ. სამზრუნველო
კამიტეტის წევრებს კი დეპუტაცია გაუგზავნეს და
თხოვეს საქმის ყოველი მხრით გასარკვევათ სათავად-
აზნაურო ბანკის დარბაზში მობრძანება, რომ სიტუ-
თხილით გაერჩიათ სკოლის საქმე და დაესაჯათ ნამ-
დელიათ საქმის ამრევე დამრევი პირი, მაგრამ სამზ-
რუნველო კამიტეტის წევრთ არ ეკმშნიკათ მასწავ-
ლებლების თხოვნა და დეპუტაციის გამოცხადება.
ამიტომ ერთი წევრის უანგარიშო თავ-მოყვარეობამ
იფეთა და მიგზავნილ კაცებს უთხრა: „საზოგადო-
ებას რა ხელი აქვს სკოლასთანო“. თქვა და ხელი
გაიქნია — წადითო. ხოლო ის კი დააფიწყდა, რომ
სწორეთ საზოგადოებას აქვს აქ ხმა და ის თვითონ
მხოლოთ „საზოგადოების“ მიერ არჩეული გამგეო-
ბის აგენტია. რალას იზამდნენ, წამოვიდნენ ახლა მე-
ორესთან, შემდეგ მესამესთან, მაგრამ აღმოჩნდა,
რომ პირველის უარზე ყოფილა სხვების მოქმე-
დებაც დამოკიდებული. აღმოჩნდა, აგრეთვე, რომ
ერთ ამ კამიტეტის წევრთაგან ისე მოუწერია ოთხი-
ხუთი მასწავლებლის დასასჯელ მოხსენებაზე ხელი,
რომ ქალაქის შინაარსი არც კი ცოდნია. ხოლო
მეორემ — ყველაფრის კარგათ მკოდნემ — ერთი ისეთი
აღოკატური მოხსენება გაუგზავნა წ. კ. ს. გამგეო-
ბას თავისი კლიენტის დასაცავათ, რომ თვით მისი
თანამოარზე გამგეობაც კი შეაფიქრანა — ეს რა ოი-
ნები გამოატყუებინაო.

სამზრუნველო კამიტეტის წევრების გულ-ცი-
ვობას შეუერთდა ქუთაისის გაჩინოვნიკებული საზო-
გადოება და საქმის გაცნობა არ მოისურგეს, და ვინც
მოისურვა — ეს იყო მხოლოთ ახალ-გაზდობა. დაეარ-
ღეთ სამზრუნველო კამიტეტი და გამგეობა და
მოვიწვიოთ საზოგადოება ახლების ასარჩევათო — თქვეს

ამათ, როცა საქმე გაიცინეს. მაგრამ ესეც ერთი ბაქ-
ბუქობა დარჩა და მეტი არაფერი. ამას ზედ დაერ-
თო ყიფიანის მუშტის სამართალი, რამაც უცებ
ქუთაისი ძალიან ააღელვა, მარა შემდეგ ისევე გაგულ-
გრილდა ზე მის მთარეველთ თავი დაუკრა. ერთი სიტ-
ყვით ყიფიანმა იგრძნო ქუთაისში ზურგის სიმავრე,
აქ მან მთარეველები მოიპოვა, თავის მისაყრდნობი
ბოძი იშოვა და ეს გრძელდება დღემდე...

ო. კაკაბაძე.

(შემდეგი იქნება)

ღის წერილი თავად გრიგოლ დიასამიძეს.

შორის მაზრის მემკვიდრეთა სამეურნეო ამხანაგო-
ბის დეპოს დროებით გამგეობამ 1897 წლის 1 ოქ-
ტომბერს მიმიწვია გომში დეპოს ბუხვალტრათ. მე
იმ დროს სამსახურში ვიყავი რკინის გზაში. მმარ-
თეელებს მაშინვე განუცხადე: მე დამკვიდრებულ
ადგელას ვარ და ისე არა ჰქნათ, რომ იქაც თავი
არ დამანებებინოთ და აქაც მშრალზე არ დამსვათ-
მეთქი. ყველამ ის მიჩნია, რომ საზოგადო საქმის-
თვის მომეკიდა ხელი და დიდ იმედებსაც მძღვე-
დენ, თუ დეპოს საქმე კარგათ წავიდოდა. 12-ს ოქ-
ტომბერს 1897 წ. საზოგადო კრებამ დეპოს გამგე-
დირექტორათ თ. ივანე გ. მაჩაბელი ამოირჩია. მე,
როგორც ივანე გ. მაჩაბლამდის, ისე მის ხელში და
მას შემდეგაც, კეთილ-სინიდიისიერათ და ერთგულათ
ვაკეთებდი ჩემ საქმეს. 11 ოქტომბერს 1898 წ. სა-
ზოგადო კრებამ ქ. გორში გამგეობის წევრის კან-
დიდატათ ამოირჩია თ. გრიგოლ ნ. დიასამიძე, ხო-
ლო 28 მარტს 1899 წ. — გამგეობის წევრათ. ამას
შემდეგ ხშირი მსეღელობა ჰქონდა მას დეპოში. მე
მალე შევატყვე, რომ ის რალაც ექვის თვლით მი-
ყურებდა. ვგრძნობდი, რომ არ მოწონდა, მე რომ
„კვალს“ ვიწერდი; ისიც შევატყვე რომ ად-
გილობრივ მოძღვართან მღ. სვიმონ წერეთელთან
ჩემი ნაცნობობაც სიზღსა ჰგვრიდა. მე აშკარათ ვკით-
ხულობდი მის სახეზე ჩემდამი უკმაყოფილებას, მა-
გრამ როგორ წარმოვიდგენდი და ვიფიქრებდი, თუ
ის კაცი, რომელიც ოდესმე „კვალის“ თანამშრომ-
ლებს მეგობრული თვლით უყურებდა და მათ ნიქს
პატივსა სცემდა, ასე გამოიცილებოდა. ამ წლის 14

აპრილს სოფ. გომში კრება ჰქონდა ამხანაგობის
მგეობას და ზედამხედველ კომიტეტს, რომელთაც,
სხვათა შორის, ისიც გადაეწყვიტათ, რომ ბუხვალ ტერი
დათბენილ იქმნასო ავთამყოფობის გამო ზე წინდაწინ
ორი თვის ჯამაგირი მიეცესო. მე გამგე-დირექტორმა
დამიბარა კანტორაში ზე ეს გადაწყვეტილება გამომიც-
ხადა. მაღლობა გადაეუხადე ორი თვის ჯამაგირსა-
თვის ზე ისიც დავეუბატე: თუმცა მიზეზათ ავთ-მყოფო-
ბას იხსენიებთ, მაგრამ შეიძლება სხვა მიზეზებაც გქო-
ნდათ-მეთქი. ეს უკანასკნელი სიტყვები რომ გაიგონა
გ. დიასამიძემ, რომელიც იქვე დასერიწობდა და რო-
მელსაც ტუჩებზე ირონიული ღიმილი ადგა, წინ წა-
მოდგა და სტოლზე თითის დადებით მითხრა: „კადვე
მისთვის, რომ ცუდათ იქცევით უფროსის წინაშე;
გაიწყდებათ, რომ თქვენ ხელქვეითი მოსამსახურე
ხართ და უფროსთან ლაპარაკის დროს მეტი კადნი-
ერება გეტყობათ“. — თქვენო ბრწყინვალეებო, მაგას
ისიც დაუმატეთ, რომ მე „კვალს“ ვიწერ და ვიც-
ნობ მ. ს. წერეთელს-თქვა — ვუთხარი მე. ერთი გან-
რისხებული შემოტრიალდა და ხმა მაღლა დამიყვი-
რა: „დიახ, დიახ, დიახ! აი, სწორეთ მაგისთვის; მაშ
არ იცოდით?! Вот негодяй, смотрите пожалуйста-
ста. — მიუბრუნდა იქ მყოფთ.

მე თქვენ გკითხავთ, თავადო გრიგოლ, უარს
ჰყოფთ თუ არა იმას, რომ „ნეგოდიანი“ დამიძა-
ხეთ კრებაში და თუ უარს არ ჰყოფთ, დროა შეი-
გნოთ დანაშაულობა და ბოდიში მოიხადოთ; წი-
ნალმდეგ შემთხვევაში მე იძულებული ვიქნები სხვა
საშუალებას მიმართო. გთხოვთ გაზეთისავე საშუა-
ლებით ამ ერთი კვირის განმავლობაში მაცნობოთ:
იხდით თუ არა ბოდიშს? X

დ. გ. კაკაბაძე.

„კვალის“ და „ჯიჯილის“ რედაქციაში

იუიდეგა შემდეგი საკუთარი გამოცემები:

თამარ დედოფლის სურათი	1 მ. 50 კ. (გასაგზ. 30 კ.)
ალბომი „ბუნება სურათებში“	ყდ. 1 მ. 30 კ. (გასაგზ. 40 კ.)
პატარა ლორდი	30 კ.
ჩვენი ძველი გმირები	30 კ.
თეთრი და ზანგი	15 კ.
სოლომონ მეფე	10 კ.
ორი მოთხრობა ეგ. ნინო შეილისა	10 კ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ. წყნეთლისა.